MIA 7 19 00630715

12/03/2019

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N36
ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"
მე-3 მუხლის I პუნქტის ს1-ქვეპუნქტი (CPV 32324100)

ქ. გორი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მერაბ ბერძენიშვილის სახით, მისამართი: ქ. გორი სუხიშვილის ქუჩა #2, საიდენტიფიკაციო კოდი: 217884181

და მეორეს მხრივ (შემდგომში მიმწოდებელი)

შ.პ.ს ,,მონტე"-ს დირექტორის დავით ქებაძის სახით; მისამართი:ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი ქ. #14 ტელ: 555 55 55 53; 27 03 02 საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი " ბანკის კოდი TBCBGE22 ს/კ 418468517 ა/ა GE31TB7364536020100003

ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტს მიაწოდოს 6 ცალი ტელევიზორი "ჰაისენსი H43A5100", ერთეულის ფასით 595.00 ლარი, 4 ცალი ტელევიზორის საკიდი 20,00 ლარიანი და ერთი ცალი 60,00 ლარიანი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ყველა გადასახადების ჩათვლით შეადგენს 3710.00 (სამი ათას შვიდას ათი) ლარს.

4. საქონლის მიწოდების და საგარანტიო ვადები

4.1. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს ხელშეკრულების მე-2 პუნქტში მითითებული საქონელი მიაწოდოს 2019 წლის 25 მარტის ჩათვლით;

4.2 მოსაწოდებელ საქონელზე საგარანტიო ვადა ვრცელდება მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წელი.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას გაცემულ საგარანტიო პირობებში უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი ხაზით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი
6.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს მოთხოვნილ ნორმებს;
7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
7.1. ანგარიშსწორება უნაღდო.;
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ზემოთ აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის
9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ მისაწოდებული საქონლის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების და ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით.
10. ფორს – მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
11. დავების გადაწყვეტის წესი
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
12.1 შემსყიდველს (მის წარმომადგენელს) უფლება აქვთ განახორციელოს მისაწოდებული

საქონლის შემოწმება, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
12.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზპნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
12.3 მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
12.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მისაწოდებელი საქონლის დროს მისი შემოწმება ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს - შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილების ლოჯისტიკის ჯგუფის წამყვან სპეციალისტს (უფროსი კომენდანტი) ზურაბ ხითარიშვილს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს.
12.5 7.2 პუნქტის შესრულებისათვის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 12.4 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი.
13.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.
13.2 არავითარი გადახრა ან იცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
13.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
13.4 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
13.6 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.
ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მიმწოდებელი:
დავით ქებაძე შ.პ.ს ,,მონტე“-ს დირექტორი

ხელმოწერა: ----------

შემსყიდველი:

შიდა ქართლის პოლიციის
დეპარტამენტის დირექტორი
მერაბი ბერძენიშვილი